

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისა და სანქციების პოლიტიკა

შექმნილია	შეთანხმებულია	შექმნის თარიღი	ვერსია
AML და შესაბამისობის სამსახური	დირექტორი	17.09.2023	1.0

Contents

1. მიზანი და რეგულირების სფერო	3
2. სანქციები.....	3
3. რისკზე დამყარებული მიდგომა	4
4. KYC / კლიენტის იდენტიფიკაცია	4
5. აკრძალული ბიზნეს საქმიანობები.....	5
6. ტრანზაქციების მონიტორინგი	5
7. ინფორმაციის აღირიცხვა და შენახვა	6
8. AML და სანქციების პროცესის აუდიტი	6
9. თანამშრომლის შერჩევისა და სწავლების წესი	6
10. რეპორტირება Reporting	7
11. კონფიდენციალურობა.....	7

1. მიზანი და რეგულირების სფერო

- 1.1. შპს „ნიუ დიჯიტალ ტექნოლოჯის“ (შემდგომში - კომპანია) მიერ შემუშავებული ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის და სანქციების პოლიტიკის (შემდგომში - პოლიტიკა) მიზანია კომპანიის წინაშე არსებული ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების (ML/TF) პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის ეფექტიანი სისტემის შექმნა, რომელიც ამავდროულად უზრუნველყოფენ სანქციების შესაბამისობის რისკის ეფექტიან მართვას.
- 1.2. პოლიტიკა ემყარება მოქმედ კანონმდებლობას და მარეგულირებელ ნორმებს, კერძოდ: საქართველოს კანონს „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“, ასევე საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანებებით დამტკიცებულ კანონქვემდებარე აქტებს, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის მიერ გამოშვებულ ბრძანებებს და სხვა შესაბამის ნორმატიულ აქტებს.
- 1.3. პოლიტიკა არეგულირებს კომპანიის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით მონიტორინგის განხორციელების პრინციპებსა და წესებს, განსაზღვრავს ეფექტური კონტროლის სისტემის მახასიათებლებს, რაც თავის მხრივ, ემყარება რისკზე დაფუძნებულ მიდგომას და უზრუნველყოფს კომპანიის ხელთ არსებული რესურსების ოპტიმალური გადანაწილების მეშვეობით, კომპანიის წინაშე არსებული რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებას, მათ კლასიფიცირებას კატეგორიების მიხედვით და გამოვლენილი რისკების პროპორციული კონტროლის მექანიზმების გატარებას.

2. სანქციები

- 2.1. პოლიტიკა კრძალავს ურთიერთობებს ან ტრანზაქციებს სანქცირებული ფიზიკური პირებისა და სუბიექტების ან სანქცირებული ქვეყნების, ტერიტორიების და მათი მთავრობების მონაწილეობით. კომპანიის მარეგულირებლის მოთხოვნებისა და შიდა პოლიტიკის შესაბამისად კომპანიამ, შეიძლება დროდადრო უარი თქვას ტრანზაქციის განხორციელებაზე, გაყინოს აქტივები ან უარი თქვას მომსახურების გაწევაზე. ეს ასევე ნიშნავს, რომ რიგ შემთხვევებში შიდა პოლიტიკისა და სანქციების რისკის მადა შეიძლება იყოს უფრო მკაცრი, ვიდრე რეგულაციური ვალდებულებები და კომპანიას შეუძლია არ დაუჭიროს მხარი გარკვეულ კლიენტებთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებას ან, მაშინაც კი, თუ ეს რეგულაციურად ნებადართულია.
- 2.2. კომპანია იღებს ვალდებულებას დაიცვას საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებული მოთხოვნები სანქციათა რეჟიმების შესრულების წესი მიხედვით.

- 2.3. კომპანია იღებს ვალდებულებას კლიენტები, ბენეფიციარი მესაკუთრეები, ავტორიზებული პირები, ბიზნეს პარტნიორები და მესამე პირები გადაამოწმოს სანქციადაკისრებულ პირთა ბაზებში. სავალდებულო წესით კომპანია იყენებს შემდეგ სიებს:
 - 2.3.1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სია
 - 2.3.2. ევროკავშირის სანქცირებულ პირთა სია
 - 2.3.3. OFAC-ის სანქცირებულ პირთა სია
 - 2.3.4. დიდი ბრიტანეთის სანქცირებულ პირთა სია
 - 2.3.5. საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სანქცირებულ პირთა სია

3. რისკზე დამყარებული მიდგომა

- 3.1. მონიტორინგის პროცესის ადეკვატურად წარმართვის მიზნით კომპანია იყენებს რისკზე დამყარებულ მიდგომას, რაც გულისხმობს რესურსების ოპტიმალური გადანაწილების მეშვეობით, კომპანიის წინაშე არსებული რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებას და გამოვლენილი რისკების პროპორციული კონტროლის მექანიზმების გატარებას. რისკზე დამყარებული მიდგომის ფარგლებში, კომპანია აანალიზებს გეოგრაფიულ არეალთან, პროდუქტებთან/მომსახურებასთან, მათი მიწოდების არხებთან და კლიენტის პროფილთან დაკავშირებულ რისკებს.
- 3.2. რისკზე დამყარებული მიდგომის გამოყენება ხორციელდება ასევე ორგანიზაციულ დონეზე, რაც გულისხმობს არსებული პროდუქტების, კლიენტების და გეოგრაფიული რისკის პერიოდულ შეფასებას და გაანალიზებას.
- 3.3. ახალი პროდუქტებისა და პროცესების დანერგვამდე ხორციელდება მათი შეფასება და შესაბამისი კონტროლის მექანიზმების გატარება რისკის მინიმიზაციისთვის.

4. KYC / კლიენტის იდენტიფიკაცია

- 4.1. კომპანიას დანერგილი აქვს "იციანობდე შენს კლიენტს" (KYC) სტანდარტი რაც, გულისხმობს კლიენტების, მათ შორის იურიდიული პირების ბენეფიციარი მესაკუთრეების სრულ იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციას, საქმიანი ურთიერთობის მიზნისა და განზრახული ხასიათის შესახებ ინფორმაციის მოძიებას, ასევე არსებული ინფორმაციის განახლებას წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით. KYC-ის სტანდარტი ხორციელდება ყოველთვის, როდესაც პირი ხსნის ელექტრონულ საფულეს.

5. აკრძალული ბიზნეს საქმიანობები

- 5.1. აკრძალულია საქმიანი ურთიერთობის დამყარება ან გაგრძელება ან ტრანზაქციების წარმოება:
 - 5.1.1. ანონიმური კლიენტებისათვის ან იმ პირებისთვის, რომლებიც ცდილობენ გახსნან ანგარიშები აშკარად ფიქტიური სახელით
 - 5.1.2. ფიქტიური ბანკისთვის
 - 5.1.3. ვერ ხერხდება პირის საიდენტიფიკაციო მონაცემების გადამოწმება / განახლება
 - 5.1.4. პირი შეყვანილია სანქციადაკისრებულ პირთა სიაში
 - 5.1.5. თუ პირი კომპანიის მეშვეობით აწარმოებს ოპერაციებს, რომლებზეც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ისინი დაიდო ან შესრულდა ფულის გათეთრების მიზნით
 - 5.1.6. თუ პირი აღმოჩნდა პოლიტიკურად აქტიური პირი და მის მომსახურებასთან დაკავშირებით კომპანიის ხელმძღვანელობისგან არსებობს წერილობითი უარი
 - 5.1.7. თუ მაღალი რისკის კატეგორიის კლიენტის მომსახურებასთან დაკავშირებით კომპანიის ხელმძღვანელობისგან მიღებულია უარი
 - 5.1.8. გარიგების აღსრულების შეჩერების თაობაზე ფმს-ის მითითების მიღებისას

6. ტრანზაქციების მონიტორინგი

- 6.1. ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად კომპანია ახორციელებს ტრანზაქციების მონიტორინგს და სავალდებულო ანგარიშგებას დაქვემდებარებული და საექვო ტრანზაქციების გამოვლენას.
- 6.2. სავალდებულო ანგარიშგებას დაქვემდებარებული ანგარიშგებების გამოვლენა ხორციელდება ავტომატური პროცესით და ექვემდებარება ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გაგზავნას.
- 6.3. საექვო ტრანზაქციების გამოვლენისთვის გამოიყენება ნიშნები, რაც შესაძლოა მიუთითებდეს ფულის გათეთრებაზე ან ბადებდეს ეჭვს, რომ შემოსავლის წყარო არის არაკანონიერი საქმიანობიდან ან ტრანზაქცია შესაძლებელია მიმართული იყოს სანქცირებული პირების სასარგებლოდ ან მიზნად ისახავდეს სანქციებისგან თავის არიდებას. საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში ინფორმაცია ეგზავნება ფინანსური მონიტორინგის სამსახურს.

7. ინფორმაციის აღრიცხვა და შენახვა

- 7.1. მონიტორინგის პროცესის ეფექტურად წარმართვა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ინფორმაციის სათანადოდ აღრიცხვასა და მის დოკუმენტირებულ და ელექტრონული ფორმით სისტემატიზაციაზე. კლიენტების და მათ მიერ განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა ხორციელდება სპეციალიზებულ პროგრამაში.
- 7.2. ყველა დოკუმენტი, რომელიც მოპოვებულია პირის იდენტიფიკაციისას, ასევე, მისი ანგარიშებისა და განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია და ჩანაწერები, ასევე სხვა დოკუმენტები ინახება სულ მცირე 5 წლის ვადით.

8. AML და სანქციების პროცესის აუდიტი

- 8.1. კომპანიაში მინიმუმ წელიწადში ერთხელ ხორციელდება AML და სანქციებთან დაკავშირებული პროცესების აუდიტი, რომელსაც კომპანიის შიდა აუდიტის სამსახური ახორციელებს.
- 8.2. კომპანიას შეუძლია განახორციელოს AML და სანქციებთან დაკავშირებული პოლიტიკა/პროცედურების და პროცესის შეფასება დამოუკიდებელი გარე აუდიტორის მეშვეობით. ასეთი შეფასება მინიმუმ უნდა მოიცავდეს შიდა დოკუმენტებს, რომლებიც დაკავშირებულია AML და სანქციებთან, თანამშრომელთა ტრენინგებთან, AML და სანქციების პროცედურების ადეკვატურობასთან და მონიტორინგის ავტომატიზირებულ სისტემებთან.

9. თანამშრომლის შერჩევისა და სწავლების წესი

- 9.1. კომპანიის თითოეულ თანამშრომელს მნიშვნელოვანი როლი აკისრია კომპანიის ძირითადი ფუნქციების შესრულებაში, შესაბამისად მის მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ის თავის საქმიანობაში იქნება კომპანიის მიმართ კეთილსინდისიერი და კომპეტენტური. თანამშრომელთა შერჩევის პროცესის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს პოტენციური კანდიდატების გადამოწმება სანქციადაკისრებულ პირთა სიაში.
- 9.2. კომპანიის ყველა თანამშრომელი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, არის სათანადოდ ინფორმირებული, რათა შეძლოს ML/TF ნიშნების მქონე გარიგებების გამოვლენა. ყველა თანამშრომელი სავალდებულო წესით

იცნობს წინამდებარე პოლიტიკის მოთხოვნებს და, საჭიროების შემთხვევაში, უფლება აქვს მოიპოვოს დამატებითი განმარტებები.

- 9.3. კომპანიის მიერ შემუშავებული სასწავლო პროგრამა ეფუძნება კომპანიის წინაშე არსებულ ML/FT რისკ ფაქტორებს და თანამშრომელთა საქმიანობის სპეციფიკას. კომპანიის ახალი თანამშრომელი მუშაობის დაწყებისთანავე სავალდებულოდ გადის საწყის ტრენინგს, სადაც ეცნობა AML/CFT ძირითად პრინციპებს და სავალდებულო მოთხოვნებს. საწყისი ტრენინგის შემდეგ, ყველა თანამშრომელი რეგულარულად გადის გადამზადებას თავისი ცოდნის ამაღლების და ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების სფეროში მომხდარი ცვლილებების გაცნობის მიზნით
- 9.4. თანამშრომლის პერიოდული გადამზადება ხორციელდება არანაკლებ წელიწადში ერთხელ.

10. რეპორტირება

- 10.1. AML და შესაბამისობის სამსახური უზრუნველყოფს შესაბამისობის რეპორტის შექმნას და მის წარდგენას დირექტორთან. აღნიშნული რეპორტი მოიცავს საკითხებს, რომელიც დაკავშირებულია ფულის გათეთრებასა და სანქციებთან - ძირითადი რისკები, მნიშვნელოვანი სიახლეები და ინციდენტები რეპორტირების პერიოდში.
- 10.2. რეპორტის წარდგენა დირექტორისთვის ხორციელდება წელიწადში ორჯერ.

11. კონფიდენციალურობა

- 11.1. კომპანიის თანამშრომლები ვალდებული არიან დაიცვან მათ ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა, კერძოდ არ გათქვან კომპანიაში არსებული ჩანაწერების, სააღრიცხვო ფაილების, საქმიანი კორესპონდენციისა და ჩატარებული ანალიზის შედეგების შესახებ არსებული ინფორმაცია.
- 11.2. საიდუმლოა აგრეთვე ინფორმაცია ამა თუ იმ ტრანზაქციის საეჭვოდ მიჩნევის და ინფორმაციის ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაცემის, ასევე, გარიგების აღსრულების შეჩერებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ. AML და შესაბამისობის სამსახურის თანამშრომლების და კომპანიის ხელმძღვანელობის გარდა მსგავსი ინფორმაცია დახურულია კომპანიის ყველა სხვა თანამშრომლისთვის.
- 11.3. კონფიდენციალობის დარღვევისთვის თანამშრომელი პასუხს აგებს დისციპლინური წესით ან/და დაეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა წარმოშობილი ზიანისთვის.